

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის  
ბრძანება N 1-1/1108

2006 წლის 11 ოქტომბერი ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის “ცდომილებათა ხარისხის  
გათვალისწინებით დაკანონებულ გაზომვის საშუალებათა  
კლასიფიკაციის” დამტკიცების შესახებ

გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე და „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სფეროს მარეგულირებელი კანონების რეალიზაციის და ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 დეკემბრის N591 განკარგულების მე-10 პუნქტის შესასრულებლად: (28.07.2010 N 1-1/1264)

1. დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი “ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით დაკანონებულ გაზომვის საშუალებათა კლასიფიკაცია” (დანართი 1)

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

*ი. ჩოგოვაძე*

დანართი 1

ტექნიკური რეგლამენტი  
“ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით დაკანონებულ გაზომვის  
საშუალებათა კლასიფიკაცია”

1. დაკანონებული გაზომვის საშუალებების ცდომილებათა ხარისხის გათვალისწინებით კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მეტროლოგიური მახასიათებლების შესაბამისად:

- ა) გაზომვის დიაპაზონი;
- ბ) გაზომვის ცდომილება;
- გ) სიზუსტის კლასი;
- დ) თანრიგი (სანიმუშო გაზომვის საშუალებებისათვის).

2. დაკანონებული გაზომვის საშუალებების ცდომილებათა მეტროლოგიური მახასიათებლების მნიშვნელობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეესტრში რეგისტრირებულ მახასიათებლებს.

3. პასუხისმგებლობა, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დანიშნულების მიხედვით გამოყენების დროს, ამ დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მახასიათებლების დაცვაზე ეკისრება გაზომვის საშუალებების მფლობელს.

4. დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო მეტროლოგიურ ზედამხედველობას განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილი ორგანო.